გაზეთი ღირს

| თვე | მან. კ. | თვე | მან. კ. |
|---|---|---|---|
| 12 | 10 — | 6 | 6 — |
| 11 | 9 50 | 5 | 5 50 |
| 10 | 8 75 | 4 | 4 75 |
| 9 | 8 — | 3 | 3 50 |
| 8 | 7 25 | 2 | 2 70 |
| 7 | 6 50 | 1 | 1 50 |

ცალკე ნომერი — ერთი შაური

# ივერია

გაზეთის დასაკვეთად და კერძო განცხადებათა დასაბეჭდად უნდა მიჰმართონ: თვითონ რედაქციას ახალ-ბებუთოვის ქუჩაზედ, სახლი № 9, ბ-ნ ხიდეკელის სგაზეთოს, გოლოვინის პროსპექტი, წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების კანცელარიას სათავად-აზნაურო ბანკის სახლებში სასახლის ქუჩაზედ.

ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი რვა კაპეიკი.

1877—1888 საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი 1877—1888



გაზეთი „ივერია“ პირველი ივნისიდამ წლის დამლევამდე ღირს 6 მ. 50 კ.

სურათებიანი

**ვეფხის-ტყაოსანი**

მეირფას ედაში,

გამოცემული

გ. დ. ქართველიშვილის მიერ,

ისყიდება „წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების“ წიგნთსაწყობში.

წიგნში 27 ზიჩისაგან დახატული სურათია, მრავალი განგებ ამ წიგნისათვის შეკვეთილი ჩუქურთმის მხატვრობა და სათაური ასოები, ამოჭრილი პეტერბურგში.

წიგნი დიდის ფორმატისაა და ღირს ტფილისში 15 მანათი.

ვისაც სურს ტფილისს გარეთ დაიბაროს, ფოსტისა და გასაგზავნი ხარჯი უნდა წარმოადგინოს კიდევ ერთი მანათი.

ამ წიგნზე ხელის-მომწერთ უნდა წარმოადგინონ კვიტანცია, იმათზედ დარჩენილი ფული და გასაგზავნი ხარჯიც ერთი მანეთი.

დაბარება შეიძლება ამ ადრესით:

Въ Тифлисъ. Канцелярія Общества Грамотности. Дворцовая ул., Караванъ-Сарай Земельн. Банка, №№ 109 и 110. (5—3)

ქართული თეატრი

კვირას, 5 ივნისს,

ქართულის დრამატიულის დასისაგან წარმოდგენილი იქნება:

**ქოროღლი**

ტრაგედ. 4 მოქმედ. და 5 სურათ., თხზ. ზ. ანტონოვისა.

დეკორაციები და ტანთ-საცმელი ახალია. ადგილების ფასი ჩვეულებრივია.

დასაწყისი 8 1/2 საათზე.


ტფილისი, 4 ივნისი

## † გერმანიის იმპერატორი ფრიდრიხი

გერმანიას ეწვია ძლიერი ისტორიული განსაცდელი, რომელიც გადასწყვეტს არა მარტო გერმანიის თავ-გადასავალს, არამედ მთელის ევროპისას. დღეს დეპეშამ გვაცნობა, რომ იმპერატორი ფრიდრიხი სამის თთვისა და ერთის კვირის მეფობის შემდეგ გარდაიცვალა დიდს ტანჯვასა და წვალებაში 3-ს ივნისს, დილის 11 საათზე. ეს სამწუხარო ამბავი, თუმცა ამას ყველანი ელოდებოდნენ ამ სამის თთვის განმავლობაში, თავს ზარს დასცემს ყველას, ვინც კაცთ-მოყვარეობისა და მშვიდობიანობის მომხრე და მოსარჩლეა.

ფრიდრიხის სიცოცხლე და სიკვდილი—ორივე ტრაგიკულია, რადგანაც ამ კაცს არ დასცალდა თავისის აზრისა და გულის წადილის შესრულება; იმისი სიცოცხლე გამუდმებული ბრძოლა იყო იმ პოლიტიკასთან, რომლის გამო მთელი ევროპა და გერმანია თოფ-იარაღში ჩამჯდარია და საომრად გამკლავებული. ის გზა, რომლითაც ფრიდრიხი მსვლელობდა გამეფებამდე, ხან-მოკლე მეფობის დროს კიდევ უფრო გაუძნელდა. გერმანიის სვე-იღბალი ბედმა მაშინ არგუნა, როცა იგი შეპყრობილი იყო მძიმე ავადმყოფობით, რომელმაც გამოჩენილ, მეცნიერ ექიმთა ხელოვნებაც-კი სძლია. აი, ამ გვარ ავადმყოფობის დროს ფრიდრიხი იძულებული იყო თავისის აზრის განხორციელებას შესდგომოდა და თან წინააღმდეგობა უნდა გაეწია იმ პოლიტიკისათვის, რომელიც გერმანიაში დიდი ხანია, რაც დამკვიდრებულა. ისტორიაში იშვიათია ისეთი მეფე, რომლის თავ-გადასავალმა და სიკვდილმა იმდენი მწუხარება გამოიწვიოს, რამდენსაც ფრიდრიხის სიცოცხლე და სიკვდილი გამოიწვევს. ყველამ იცოდა, რომ ფრიდრიხის მეფობა დღეგრძელი არ იქნებოდა, რომ როცა იქნება ევროპის პოლიტიკის სათავეში ისევ ძველი დასი ჩადგებოდა, რომელსაც მთელმა ევროპამ გზა ვერ შეაცვლევინა, მაგრამ კაცთ-მოყვარეთა გული და გრძნობა ფრიდრიხისაკენ იწევდა. სამი თთვე სრულიად არაფერია ერთა ცხოვრებაში, მაგრამ ამ მცირე დროს განმავლობაშიაც ფრიდრიხმა სამუდამოდ აღბეჭდა თავისი კვალი ისტორიაში და ამ კვალს ანგარიში უნდა გაუწიონ ფრიდრიხის მიმართულების მოწინააღმდეგეთა. თუმცა უეჭველია, რომ დღეის იქით ფრიდრიხის მიმართულება დამარცხებული იქნება, მაგრამ იმისმა დედა-აზრმა მაინც ფრთა შეისხა.

პრინც ფრიდრიხ-ვილჰელმ-ნიკოლოოზ-კარლი, ძე იმპერატორის ვილჰელმისა, დაიბადა 1831 წელს 18-ს ოქტომბერს. განსვენებული სწავლობდა გამოჩენილის მეცნიერ-ისტორიკოს ერნესტ კურციუსის ხელმძღვანელობით. 1850 წელს ფრიდრიხი შევიდა ბონის უნივერსიტეტში, სადაც განსაკუთრებულის გულ-მოდგინებით სწავლობდა ისტორიას. მხედრობაში ფრიდრიხი გამოიცადა შლეზვიგში 1864-ს წელსა. 1866-ს წელს რამდენჯერმე დაამარცხა ავსტრიის ჯარები. ფრიდრიხი არას დროს არ თანაუგრძნობდა ბისმარკის პოლიტიკას და ამიტომაც არ იღებდა პირდაპირს მონაწილეობას გერმანიის სახელმწიფო საქმეებში და ხშირად დევნილიც იყო. თუმცა თვითონ წარჩინებული სარდალი იყო, მაგრამ ომი ძალიანა სძაგდა. პირველს პრეზიდენტს რეიხსტაგისას, სიმსონს, უთხრა: თქვენ არ გინახავთ და არ იცით, რა არის ომი. მე-კი გამოვსცადე ომიანობა და უნდა გითხრათ, რომ უდიდესი მოვალეობა ადამიანისა ის არის, რომ როგორმე თავიდგან აიცილოს სისხლის ღვრაო.

ფრიდრიხი ყოველთვის სამშვიდობო მიმართულებისა და აზრის კაცი იყო და აი, სად არის იმის მიზეზი, რომ ეგოდენი უკმაყოფილება ჩამოვარდა ფრიდრიხსა და ბისმარკს შუა. ფრიდრიხს არა სწამდა თავ-გასული და მედიდური პოლიტიკა ბისმარკისა, კონსტიტუციის მოსარჩლე იყო და რამდენჯერმე დიდი განსაცდელი პიაყენა ბისმარკის ძლიერებასაც-კი. ჩვენ რამდენიმე წერილი ვუძღვენით ფრიდრიხის პოლიტიკას და ბისმარკთან შეტაკებას, და ამიტომ აქ ნათქვამს არ განვიმეორებთ. მემკვიდრე ფრიდრიხისა იმისი შვილი ვილჰელმია, რომელიც ამ დღეებში უნდა ეკურთხოს და ავიდეს ტახტზე.

## ახალი ამბავი

*** ქართულის დრამატიულის საზოგადოების მმართველობა გვთხოვს გამოვაცხადოთ, რომ პარასკევს, 3 ივნისს, იმის მიერ არ იყო გამართული ქართული წარმოდგენა ბანკის თეატრში „ცოლი-მეუღლე“ და რომ საზოგადოდ

## ფელეტონი

### მცირე შენიშვნა

„ოთარაანთ ქვრივის“ გამო.

### VI

როგორც ჩემგან თავ-მობეზრებულ მკითხველს ახსოვს, ჩვენი გლეხი საკმაოდ წარმატებაში შედიოდა ამ უკანასკნელს ნახევარს საუკუნეს. ცბიერსა და მოღალატე დათოს მოჰყვა სანდო და პატიოსანი რეზონერი გაბრიელი, რომელსაც რუსეთმა მიაწოდა თავისი ღონიერი ხელი და წყალ-წაღებული, სულთ-მობრძავი კაცი გამოიყვანა სამშვიდობოზე, სადაც, კანონის მფარველობის ქვეშ, ამწვანდა, აყვავდა და მოისხა საკმაოდ შესამჩნევი ნაყოფი გლეხის შრომამ, იმისმა გულმა და სულმა. ამ ვითარებაში წყალ-წაღებულ და მოლაპარაკე გაბრიელის ადგილი დაიჭირა ჯანითა და ღონით შემკულმა მოხაქმე გიორგიმ.

ამავე დროს ჩვენი თავად-აზნაურობა წყალ-გაღმა დარჩა. სალოდავი ლუარსაბი უკანასკნელს დღეებს ვაივაგლახით ატარებდა, მიეიწყებული, თავ-მინებებული და გაბრაზებული ახალს დროებაზე, რომელმაც გამოაცალა ხელიდამ საგანი „დაწოლკვებისა“ და ამით წაართვა თვით აზრი იმის ცხოვრებისა. გაბოროტებული იყო ახალს დროებაზე და მიაბარა სული უფალსა ისე, რომ თავისი ბუტბუტი და გაბოროტება ველარც-კი შეატყობინა ქვეყანასა. ამ დროს ჩვენი დათიკო უკვე დანავარდობდა მოედანზე. ის ხასიათის მექონე კაცი გახლდათ და მაგდენს არას დაგიდევდათ, რომ ყმები ჩამოაცალეს და მეორე ნაპირას დაასახლეს. „ჯანი და სული წაუღიდეთო,—ჰფიქრობდა დათიკო:—მანამ ცოცხალი ვიქნები, ჩემი სარჩო-საბადებელიც მეყოფა, და ჩემს შემდეგ თუნდა ქვა-ქვაზედაც ნულარა ყოფილაო“.

გაიმძღვარა წინ ჩვენმა დათიკომ ასეთი მოსაზრება და მთელის თავისის ღონით შეუდგა საკუთარის ოჯახის დაქცევასა, დანგრევასა და განადგურებას. ყველამ ვიცით, როგორის თავ-გამოდებით შეასრულა ეს თავისი გზა-მაჩვენებელი აზრი დათიკომ. შეჭამა და კიდეც მოინელა თავისი მამა-პაპეული ზვრები, ჩაიდო მუცელში საუკეთესო ნაფუძრები, გადაბუგა თითქმის მთელი თავისი თვალ-მიუწვდენელი ტყეები, შთანთქა სახელოვანი ციხე-დარბაზები, მერე, თუ-კი სულს აქეთ მოეპოვებოდა-ღა რამ, ყველაფერი ჩააგირავა პრიკაზსა და ბანკში, ან ცალკე კაცის ხელში, და ბოლოს მთლად მიანება სოფელს თავი, ჰკრა ქუსლი და გადმოსახლდა დაბა-ქალაქებში ხანშესული, წვრილ-შვილი, ვალითა და ვახშით ჯან-გაგდებული, პატივ-აყრილი, გატეხილი, ლუკმა-პურის მონატრე და სხვათა ხელში შემაყურალი. ჭამა-სმა, სმა-ჭამა, კიდევ ჭამა-სმა და კიდევ და კიდევ. ქეიფი დღეს, ქეიფი ხვალ, ქეიფი ზეგ, სულ ქეიფი, კიდევ ქეიფი, გაუთავებელი, სამზღვარ-დაუდებელი ქეიფი და ლოთობა. ამას შესწირა თავისი ყმაწვილკაცობა, ამასვე მისდევდა მოხუცებამდე და მანამ ზურგი შესწევდა, დათიკო იყო ტრაქტირებისა და რესტორანების უკეთესი გმირი. დათიკოებისთანა ხეირს ვერ აჩვენებდა რესტორანს ვერც ჩინოსანი დიდი კაცი, ვერც მილიონების პატრონი ვაჭარი და ვერც ერთი მოხელე. დათიკოს თითო „ზაკაზზე“ რამდენიმე თუმანი უნდა მოგება ენახა რესტორანისა, ბაღისა თუ ტრაქტირის პატრონს და კიდევაც აქებდა, უყვარდა და მადლიერი იყო დათიკოსი: „ეს, კნიაზჯან, შენისთანა დარდიმანდი ქართველი კაცი რომ არ მობძანდებოდეს საქეიფოდ, ჩვენ სულ მშიერები დავიხოცებოდით. ღმერთმა მეტი შნო და ლაზათი მოგცეს, კნიაზჯან“. კნიაზჯანიც უკან არ იხევდა, სცდილობდა უფრო მეტი შნო და ლაზათი გამოეჩინა, ე. ი. უფრო უანგარიშოდ ეფანტნა და ეხარჯნა თავისი საცხოვრებელი. ყველა მეფაიტონე იცნობდა დათიკოს და ბედნიერი იყო, თუ იმის ფაიტონში ჩაბძანდებოდა კნიაზი—ნახევარ საათი რომ მჯდარიყო, წითელს ასიგნაციას მიაგდებდა“, თავში ბედნიერ მეფაიტონეს. კინტო ბიჭები ხომ დათიკოს მზესა ლოცულობდნენ: —„ეს, დათიკოს ღმერთის ჭირიმე. მართალია, კნიაზია, მაგრამ ჩვენზე უარესი ლოთი-ფოთი ბიჭია. ახლა ჩხუბში უნდა ჰნახო, რა დარდიმანდია! ეს, ეს, ეს!.. იმ დღეს ერთი გოგო მეეტაცნა, ორთაჭალის ბაღებში ჩამეეყვანა და თავისებურად, დუდუკით დროს ატარებდა, ყიოდა, ღრიალებდა ზორბად. ამ დროს გოგოს პატრონებიც წამოესწრნენ. დატრიალდა ჩვენი დათიკო და სულ ზურგზე ბოლი აადინა ყველას“.

**

ასეთი ხასიათი დასჩემდა დათიკოს იმავ თავით და იმის შესაფერ გზასაც დაადგა ცხოვრებაში, როგორც ცნობილია დღეს ყველასაგან. მთელი თავისი უშველებელი ქონება, სამართლიანად თუ უსამართლოდ მოპოვებული საუკუნოთა განმაელობაში, რამდენსამე ათს წელს სულ თავის გაუმაძღარს მუცელში გაატარა და იქამდე უზრუნველი და უდარდელი იყო, რომ, როგორც ვიცით ჩვენის ცხოვრებისავე ვითარებიდამ, სამარის კარამდე მივიდა და თითქმის სამარხიც-კი არ ინაღვლა თავისთვის უყვედური. დათიკოებს ნდომით ბევრი უნდოდათ, უფლებაზე თვალი ეჭირათ და მოვალეობას-კი ქედს არიდებდნენ. დათიკოსათვის ქვეყანაზედ არ არსებობდა არავითარი მოვალეობა არც შვილებისა და არც მშობლების მიმართ, „ქვეყანა და ქვეყნის საქმე ხომ სრულებით ფეხებზედ ეკიდა“. გაველურდა, განადირდა კაცი, აღარა გაეგებოდარა აღარც ქვეყნიერობისა, აღარც თავის თავისა, აღარც სამშობლოსი. მხოლოდ ერთი ეს-ღა ახსოვდა, რომ იგი ბრწყინვალესა და კეთილშობილს გვარს ეკუთვნის და ამიტომ სრული ნება აქვს უკადრისად მოეპყროს ყველას, ვისი გვარიც არა ბრწყინავს ცარიელის სახელით მაინცა და არა კეთილშობილობს ცარიელისავე სახელით. მიზეზიც ეს იყო, რომ როდესაც-კი დათიკოს შემოაკლდებოდა ხოლმე ჯიბის ფული და ათასში ერთხელ გამოცურდებოდა იმ სამშვიდობო ნაპირას, სადაც საკუთარი ბუდე გაიკეთა განთავისუფლებულმა გლეხობამ, მოაგონდებოდა დრო ბატონყმობისა და ერთს ალიაქოთსა და ვაივაგლახს აუტეხდა დამშვიდებულს, დაწყნარებულს და მშრომელ გლეხობას. თუ ვინმე სიტყვას შეუბრუნებდა, მაშინათვე გული ყელთან მოებჯინებოდა, ბრაზი მოერეოდა ჩვენს დათიკოს: „შე ლორო, ლორის ჯიშისავ! განა არ იცი, რომ მე თავადიშვილი ვარ და შენ-კი ვილაც გლეხი? თვით მთავარ-მმართებელი მოწიწებით მელაპარაკება და მეტყვის ხოლმე—თქვენო ბრწყინვალებაო, და შენ-კი სიტყვა უნდა შემომიბრუნო მე, თავადიშვილს, ბრწყინვალებას... მე რომ გაგლანძღო, გაგათრიო, ვიკადრო და ჩემის ხელით სილა გაგარტყა მაგ გაშავებულს ლოყაზე, შენ მადლიერიც

მმართველობა არ აპირებს ამ ზაფხულს წარმოდგენების გამართვას.

*** იგივე მმართველობა, როგორც შევიტყეთ, ეხლავე ამზადებს ახალს რეპერტუარს მთელის ზამთრისათვის, რომლის განმავლობაში დადგმული იქნება რამდენიმე ახალი პიესა, ორიგინალური და ნათარგმნი.

*** ოთხშაბათს, 1-ს თიბათვეს, ავლაბარში ახალგაზდობამ გაჰმართა უფასო ქართული წარმოდგენა, ნაცნობთა და ნათესავთათვის. წარმოადგინეს ერთ-მოქმედებიანი კომედია გ. ერისთავისა „უჩინ-მაჩინის ქუდი“. დადგმული იქმნა ცხოველი სურათები „უჩინ-მაჩინის ქუდი“-დამ; და აგრეთვე იმღერეს რამდენიმე ქართული სიმღერა.

ხალხი ბლომად დაესწრო და არც ახალ-გაზდათა მეცადინეობას ჩაუვლია ტყუილ-უბრალოდ.

იმავე ახალგაზდებს, რომლებმაც ეს წარმოდგენა ითავეს, განზრახვა აქვთ წარმოადგინონ გ. ერისთავისავე სამ-მოქმედებიანი კომედია «ძუნწი».

*** დღეს, 5 ივნისს, იუნკრების სასწავლებლის შეგირდები სურამს გაემგზავრნენ საზაფხულოდ.

*** წელს მოსკოვის უნივერსიტეტში შეასრულა კურსი ხუთმა ქართველმა: ა. გარსევანიშვილმა, ბ-ნმა კახიძემ, ა. ხახანაშვილმა, ვ. წერეთელმა და ლორთქიფანიძემ. ამათში პირველმა სამმა გაათავეს კურსი საისტორიო და საფილოლოგიო ფაკულტეტზე, ვ. წერეთელმა იურიდიულს ფაკულტეტზე, ხოლო ბ-ნმა ლორთქიფანიძემ—მათემატიკურზე.

ამათ გარდა წელს უნდა შეესრულებინათ კურსი ბ-ნს მ. გედევანიშვილს საექიმო ფაკულტეტზე და პეტრიაშვილს ფილოლოგიურზე, მაგრამ უნივერსიტეტში მომხდარის უწესოების გამო ამ ორმა სტუდენტმა ველარ შეასრულა წლის კურსი.

*** ქალაქის გამგეობას განზრახვა აქვს ელექტრონით განათება შემოიღოს ტფილისში, ჯერ-ჯერობით მიხეილის ქუჩაზე, მიხეილის ხიდზე, ბარიათინსკის ქუჩაზე, გოლოვინის პროსპექტზე და ერევნის მოედანზე. რადგანაც ელექტრონის განათების შემოღება დამოკიდებულია იმაზე, თუ რამდენს ლამპარს მოითხოვენ მცხოვრებლები თავიანთ საჭიროებისათვის, ამიტომ ქალაქის გამგეობას გაუგზავნია სახლის პატრონებისათვის ქაღალდები, რომელშიაც მოხსენებულია ყველა საჭირო ცნობა ელექტრონით განათების შესახებ. ამ ქაღალდებში გამოანგარიშებულია, თუ რამდენი ლამპარი რა დაუჯდება სახლის პატრონს. მაგალითებრ, ის ლამპარი, რომელსაც 8 სანთლის სინათლე აქვს, დაჯდება 5 კაპ. დღე-ღამეში, რომელსაც 10-სა—6 კ., 16-სა—10 კაპ., 32-სა—20 კ. ამასთან ნათქვამია, რომ 8 სანთლის სინათლიანი ელექტრონის ლამპარი კარგის ნავთის ლამპრის მაგიერობასა სწევსო. თითოეული ლამპარი 1000 საათს იწვის, ხოლო თუ მოსამართიცა აქვს—2000 საათს. ამას შემდეგ ახალი ლამპარი უნდა გაკეთდეს, რომელიც დაჯდება 2-დგან 3 მანათამდე. ამ გამოანგარიშებიდგან სჩანს, რომ პირველში ძალიან ძვირი ჯდება ელექტრონულის სინათლის შემოღება. თითო ლამპარის განათება ეხლა ჯდება ნავთით ორი კაპ., ხოლო ელექტრონისა 5 კაპ. უნდა დაჯდეს. კარგი იქნებოდა, რომ ქალაქის გამგეობას უფრო იაფი წყარო ეპოვნა სადმე ელექტრონულის სინათლის შემოღებისათვის, თუმცა ისიც ითქმის, რომ ელექტრონი ახალი საქმეა და პირველში დიდი ხარჯი დასჭირდება.

*** 3-ს ივნისს კავკასიის სამხედრო სასამართლომ გაარჩია მე-156 ელისავეტოპოლის პოლკის პოდპორუჩიკის ბიკოვის საქმე. ბიკოვს ბრალდებოდა, რომ უშაკოვს, კომანდირს პოლკისას, რომელიც სარაყამიშში ბინადრობს, მუქარის წერილი მისწერა და მოკვლას ჰპირდებოდა, თუ რომ ამა-და-ამ ადგილს ხუთი ათას მანეთს არ მოიტან და არ შეინახავო. წერილის დამწერი ამბობდა, რომ მე ის კაცი ვარო, რომლის შესახებ მთელს კავკასიაში ლაპარაკობენ და რომლის სახელი იმდენად საშიში არისო და სხვ... პოლკოვნიკმა ეს წერილი აჩვენა პოდპოლკოვნიკს გურგენიძეს. ამათ გადასწყვიტეს დანიშნულს ადგილას რამე პაკეტი დაედოთ და თან ყარაული დაეყენებინათ თვალ-ყურის სადევნელად, თუ ვინ მიეიდოდა ფულების წასაღებად. დანიშნულს ადგილზე ყარაულებმა ნახეს პოდპორუჩიკი ბიკოვი. ბიკოვი დატუსაღებულ იქმნა და სამართალშიაც მისცეს. გამოძიებამ აღმოაჩინა, რომ წერილი, რომელიც უშაკოვს მიუღია, ბიკოვის ხელით არის დაწერილიო. ბიკოვსავე ჰბრალდებოდა ყარაულის შეურაცხყოფა პატიმრობის დროს. სასამართლომ დამნაშავეთ იცნო ბიკოვი და გადუწყვიტა ღირსების აყრა და ციმბირის შორეულ ადგილებში გაგზავნა.

*** ახირებულს ამბავსა გვწერენ ყარსიდგან: ამ დღეებში ერთის სახლის საძირკვლის თხრის დროს ხუთმა ამხანაგმა იპოვნა ერთი ქილა თათრულ-ინგლისური ოქროს ფული. ეს ოქრო, როგორც მნახველები ამბობენ, ორმოც ათასს მანეთზე მეტი იქნება. პოლიციას უნდოდა წაერთმია ეს ფული, მაგრამ პროკურორის ამხანაგმა ნება არ მისცა და უჩვენა მუხლი კანონისა, რომლის ძალითაც არ შეეძლოთ წართმევა. ეს მამული, სულ ოთხი თითე იქნება, გაჰყიდა ერთმა თათარმა ოთხი ათას მანეთად და გადასახლდა არზრუმში.

*** იქიდამვე: წელს აქ წინანდებურად წყალ-დიდობა არა ყოფილა, მაგრამ ცუდი დარები-კი სდგას. აქაც კარგს მოსავალს მოველით.

ამ ერთის კვირის წინად წყალმა გამოარიყა დამრჩვალი კაცის გვამი, რომელიც აღმოჩნდა ნახჩევნის მცხოვრებელი, ხეჩო სტეფანოვი.

*** დედოფლის წყაროდგანა გვწერენ: აპრილის 27-დგან ვიდრე მაისის 15-მდინ დაქინებულმა წვიმებმა კეთილი არა მოგვიტანა-რა. სასტიკი ავადმყოფობა გაჩნდა. დედოფლის-წყაროს მცხოვრებელთა შორის სახლი არ არის, რომ ორი და სამი ავადმყოფი არ იწვეს; მომეტებულად ნორჩი ბავშვები და ყმაწვილი ქალები ხდებიან ავად. ავადმყოფებს 39,8-დან ვიდრე 41,8°/ ციცხე აქვსთ, და ამასთან სასტიკი თავის ტკივილი და ცხვირიდგან სისხლის დენა. მოსავალს კარგი პირი უჩანს.

*** კავკავი: ბარის ოსეთში ეს მეორე თთვეა, რაც სიმინდის ფასმა აიწია. წინად «მერკა» სიმინდი ფასობდა 40—50 კაპ., ეხლა-კი 70—72 კაპ. ამ ჟამად ბარის ოსებს კავკავის რკინის გზის სადგურებში მიაქვთ სიმინდი გასასყიდად, რადგანაც კავკავის ბაზარში თითო ურემზე ორი აბაზი გადასახადი უნდა აძლიონ. გარდა ამისა კავკავის ბაზარში ქალაქიდგან საწყაო უნდა იქირაონ დღეში ხუთ შაურად. ამიტომაც ოსები ისევ რკინის გზის სადგურებში ამჯობინებენ სიმინდის გაყიდვას, თუმცა აქაც ძალიან ატყუებენ საბრალოებს. ამ ნაირადვე იქცევიან ჩაჩნებიცა. ამას წინად ჩაჩნებმა იმდენი სიმინდი მოზიდეს ბესლანის სადგურზე, რომ ტევა აღარ იყო. მყიდველებმა რომ ნახეს ამოდენა სიმინდი, ფასი დაუკლეს, მაგრამ ჩაჩნები არ დაყაბულდნენ და ისევ კავკავში წაღება არჩიეს.

*** დიდი ზარალი მიუცია თეძამის მდინარეს წყალ-დიდობის მიზეზით ახალქალაქელებისათვის. ზოგისა სახლი დაუნგრევია,—მერე სახლსაც სახლი ჰქვიან, ორ სამ-სამ-სართულიანი ქვითკირის სახლი; ზოგისათვის ვენახი წაურთმევია, ზოგისთვის რა და ზოგისთვის რა. მთელი ერთი კვირა სახლში ვისხედით ამ აღელვებულის წყლის გამო და გრაკლის სადგურზე ველარ გამოვდიოდით რკინის გზისკენაო, გვწერენ ახალქალაქიდამ. როცა ცოტაოდნად ჩამოწყდა წყალი, მხოლოდ მაშინ შეიძლეს ახალქალაქელებმა ხაბნე ურმებით გასვლა თეძამში და ისიც მხოლოდ მაშინ, როცა შიგ კამეჩებს შეაბამდნენ ხოლმეო. დღეს თითქმის სულ ჩამომწყდარა წყალი და შიგ ფაეტონებიც თავისუფლად გადიან.

*** ქართლიდამ გვწერენ: მაისი ისე გავიდა, რომ სულ თავ-ბარი ჩამოსტიროდა, განუწყვეტლივი წვიმები და ჰექა-ქუხილი იყო. გავიდოდნენ სახნავად დილით და შევხედოთ, წამოვიდოდა წვიმა და ისევ უკან და-

---

უნდა დამრჩე, არა თუ სიტყვა შემომიბრუნო. აი ეხლაც გაგლანძღავ და გეფიცები ჩემს ბრწყინვალებას, რომ თუ ხმა ამოიღო, მანდვე გაგაქრობ. აი გლანძღავ: შე აგეთო, შე იგეთო, შენი მამა“... გლეხი ვერ მოითმენდა ამისთანა შეურაცხყოფას, სიტყვას შეუბრუნებდა და ხშირად დათიკოებიც ასრულებდნენ მუქარას, იქვე ხანჯალს შესცემდნენ მუცელში გლეხსა. რამდენი დათიკო გაემგზავრა ციმბირში ამისთანა განადირების გამო, დათიკოს შვილები ხომ ყოველ წლივ რამდენიმე თთვე უეჭველად ციხეში უნდა ისხდნენ ლოთობის, ჩხუბის, ჩეხვისა და ხანჯლის ტრიალის გამო. ესეთი და ამაზე უარესი საქციელი დათიკოებისა და იმის ჩამომავლობისა ჩვენ წიგნიდამ-კი არ ვიცით, არამედ უფრო სარწმუნო წყაროდამ და ეს წყაროც არის ჩვენი ცხოვრება ამ უკანასკნელ ოცის, ოც-და-ხუთის წლის განმავლობაში. ჩემს მკითხველს თითონ უნახავს ათობითა და ოცობით მაგალითები შემაძრწუნებელ საქციელისა დათიკოებისა და იმის შვილების მხრივ. თანაც ეს საგანი ისეთი სამძიმოა, რომ გული გისკდება ბრაზებით, როდესაც-კი იგონებ და თვალ-წინ იდგენ დაქცევებას, დაწერილმანებასა და დაქვეითებას იმ წოდების წარმომადგენელთა, რომელთაც დარჩათ საკმაოდ დიდი წყარო გაძლიერებისა—თვალ-მიუწვდენელი მამულ-დედული. მაგრამ რასა იქთ, ჩემო ბატონო, ძნელია კაცი ადამიანად იქცეს, რაც გინდ გარემოება ხელს უწყობდეს, თუ არა აქვს შეგნება ამ გარემოებისა.

**

უმეტესობამ, უფროს-ერთმა თავად-აზნაურმა ვერ შეიგნო თავისი დრო, ვერ მიუხვდა აშკარად წამოყენებულს საგანს ცხოვრებისას, და მიზეზიც ეს იყო, რომ თითქმის მიწასთან გაისწორა თავისი თავი, საკუთარის ხელით წყალში გადაყარა ის თვალ-მარგალიტი, რომელიც გარემოებამ დაუნარჩუნა ცხოვრების ბრძოლის ასატანად, ცხოვრებაში ადგილის დასაჭერად. იმ დროს, როდესაც გლეხმა იგრძნო, გაიგო და ხელი ჩაჰკიდა ახალს საგანს ისტორიისას და თავისის გარჯით, მეცადინეობით შეჰქმნა და დაჰბადა საფუძველი შედარებითის კეთილდღეობისა, რითიც ასახელა თავისი ქვეყანა,—თავად-აზნაურობამ არა თუ ქვეყნისა, სამშობლოს საჭიროებისა ვერა შეჰნიშნა-რა და გული არ ერჩოდა საზოგადო საქმისათვის, არამედ საკუთარის საჭიროებისაც-კი ვერა გაიგო-რა, მისდგა თავის ქონებას, თითქო შემოსეული მტერიაო, თითქო ჰარეული ლეკიაო, და სულ ერთიან ძირი გამოუთხარა.

ამისთანა საქციელით თავისი ძალ-ღონე ხომ ერთიან გაუშვა ხელიდამ და ქვეყანას, რასაკვირველია, ვერაფრით ვერა არგო-რა, პირ-იქით, აზარალა და დიდადაც აზარალა. თავის თავისა თუ-კი არა გაეგება-რა ადამიანს, აბა ქვეყანას რა ხეირი უნდა დაჰმართოს. და მართლაც, ხეირი-კი არა, დათიკოსა და იმის ჩამომავლობას იქამდე არ ეყურებოდა თავისი ადგილი ქვეყანაში, იქამდე გამოერჩია და გაძევდა ცხოვრებიდამ, რომ აღარ იცოდა, რა არის სამშობლო, ქვეყანა, ქართველი, რა არის თვით მშობლიური, დედა ენა. თუ რა ზომამდე გამოეცალა თავიდამა და გულიდამ ასეთი საანბანო და საყოველთაო გრძნობა და აზრი, თქვენ შეგიძლიანთ წარმოიდგინოთ იქიდამ, რომ მთელი წარჩინებული თაობა სოლომან დოდაშვილისა, მთელი ნიჭი და სისრულე ბარათაშვილის თაობისა, მთელი მეცადინეობა, თითქმის ქადაგად-დაცემა, ჭკუა და ნიჭიერობა აგრეთ წოდებულ „თერგდალეულთა“ იყო საჭირო, რომ ამ ორმოც-და-ათის წლის განმავლობის შემდეგ ჩვენს თავად-აზნაურობას ზედათად არის მაინც, სიტყვიერად მაინც შეეგნო, რომ იგი ქართველია, ეკუთვნის ქვეყანას და ამიტომ მოვალეობა აძევს მამულიშვილობისა. ნადირმაც-კი იცის ფასი თავის სოროსი და დათიკოს შვილს დღეს დიდ გმირობად მიაჩნია, როდესაც ლოთობის დროს ბოხის ხმით წამოიძახებს:

„ყანწით გვსვამ ღვინოოოოს,
თქვენს სადღეგრძელოოოოოს...
და გაუმარჯოოოს, ვარაღოო, და სხვ.

და იმავე წუთს, შემდეგ ამისთანა „პატრიოტულ“ ლექსისა, მოაყოლებს არა ნაკლებ „პატრიოტულ“ სიმღერას:

მე მიყვარს შენიიიი
შავი თვალებიიიიიი,
შენ განაცვალოს, ვარაღოოოოო,
ყველა ქააალებიიიიიი...
ტრანინაჰნანოოოოო,
ტრუნინაჰნანაეეეეეჰე,
ტრანინანაოოო, ვარაღოოოო,
ტრუნინანაჰნაეეეეე.

უმეტესობის შეგნება მამულის სიყვარულისა დღეს იწყება ამ ტრუნინანათი და თავდება იმ ტრანინანათი. ათასში ერთხელ თუ გაიმართა საზოგადო კრება დათიკოს შთამომავლისა, თითო-ოროლა ჰკვიანი კაცი იტყვის, რომ ჩვენ ქართველები ვართ და ამიტომ უნდა გვიყვარდეს საქართველო, ჩვენი სამშობლო და ჩვენი დედა ენაო,—ეს ანბანური სიტყვები დათიკოს შვილს ჰგონია რაღაც ახალ და ციდამ შთაგონებულ ჭეშმარიტებად, მთქმელი მიაჩნია ქვეყნის გმირად, დიდ-სულოვან, გამბედავ კაცად, და ტაშის ცემასა და ვაშა-ვაშას ბოლო აღარა აქვს ხოლმე.

იმის გაგება-კი, თუ რაში მდგომარეობს ნამდვილი სიყვარული სამშობლოსი, როგორს სამსახურსა თხოულობს ეს უკეთესი გრძნობა ადამიანისა, რა მოვალეობას ადებს იგი მამულიშვილს, ამის გაგება უფროს-ერთისათვის ჯერ სრულებით მიუწდომელია.

**

თითო-ოროლა-კი, ვისაც რაიმე სწავლა მიუღია და ყური მაინც მოუკრავს განათლებისათვის, ცოტაოდნად გასკილდა ამ ტრუნუნანის პატრიოტობასა. მაგრამ მაინც ჯერ რიგიანად ვერ გაუფაქიზებია გული, ვერ მოუშორებია საუკუნოებით მოდებული ობი ტვინისათვის, და ამიტომ იმისი სიყვარული სამშობლოს მიმართ გამოიხატება თავის წოდების სიყვარულით. იმასა ჰგონია, რა-კი წავექომაგები თავად-აზნაურთა წოდებას, მორჩა და გათავდა ჩემი ვალი, სამშობლოს მიერ კისერზე დადებულიო. ამასთანავე თუ საკმარისი ზიზღი გამოიჩინა დანარჩენ წოდებათა მიმართ, მაშინ ხომ სრული და უნაკლულო მამულიშვილია და მამულიშვილი. თუ ამასთანავე წოდებამ შენიშნა ესეთი კაცი და სიყვარულის სამაგიეროდ ლუკმა პურის ილაჯი გამოუჩინა, მეტი აღარა არის-რა საჭირო ქვეყნისათვის—სამშობლომ წინ-წაიწიაო, ჰფიქრობს ასეთი კაცი,—აფასებს ღირსეულ მოღვაწეს, სამშობლომ შეიმცნო და აღასრულა საკუთარი მოვალეობა ჩემდამიო. კაი მიგეცეთ, კარგ ყოფაში დღეს ჩვენა ვართო. ეხლა იმის მეტი აღარა უნდა-რა ქვეყანას, რომ ცოტაც გაიჭიროს საქმე და ცხოვრების სახსარი ამოუჩინოს ყოველს შვილს დათიკოსას, რადგან დათიკომ ვალისა და ვახშის მეტი არა დაუნარჩუნა-რა თავის შთამომავლობასაო.

თუმცა ერთის მხრივ ასეთი უბადრუკი მიმართულება მეტად საწყენი და სათაკილოა ყოველ ნამდვილ მამულიშვილისათვის, მაგრამ მეორეს მხრივ თქვენ აქა ჰხედავთ ცოტაოდენ წარმატებას მაინც. დათიკოს დაბრმავებული თვალი გონებისა და გულისა სრულებით ველარა ჰხედავდა ველარც ქვეყანას, ველარც წოდებას. იგი დაბრმავდა იქამდე, რომ თავისის თავის დანახვასაც ველარ ახერხებდა, არა თუ წოდებისა და ქვეყნისას. იმისი კერპი იყო—გაუმაძღარი ბრწყინვალე მუცელი და მუცელს აყრიდა ყველაფერს, რაც-კი საუკეთესო რამ მოეძებნებოდა ქვეყანაზე. დათიკოს შვილთა უფროს-ერთი დღეს ტრუნუნუნეს პატრიოტობას მისდევს და ამიტომ არ გაეგება თავისი მოვალეობა ქვეყ-

ტრიალდებოდნენ. ხალხი უხვენელოთესი დარჩება სამერმისოდ. წლევანდელ მოსავალსაც ავნო ასეთმა დარდმა, ყანები სულ გააყვითლა, ბოლოდა ჩალად გარდააქცია. იწვიმებს, იწვიმებს და მერე ისეთს სიცხეს დაიჭერს, რომ სულ სწვავს ყველაფერს და მერე კიდევ წვიმა და ისევ წვიმა. ხეხილიც გააფუჭა ასეთმა ავდრიანმა წელიწადმა. ბალახი და იალალი-კი ფრიად კარგია. წელს კიდევ არაფერი, რომ სამერმისოდ არ გაგვიფუჭებდეს საქმეს. გუთანს ბელტი ვერ გადმოუბრუნებია, მიწა იფხვნება და იშლება. ეხლანდელი ნახნავი რომ ჰნახოთ, გეგონებათ ნაჩეჩიაო, ისეა დამბალი და გაფხვიერებული მიწა. ამისთანა ნახნავში მიწა ამოვა და, რასაკვირველია, შიგ ველარა დაითესებარაო. ამას გარდა, ვისაც ორმოცის დღის ალო გამოჰყავდა, წელს ოცის დღის ალოც ველარ გამოიყვანა საანეულო ნახნავისაო.

## ტფილისის მოსამსახურეთა მდგომარეობა.

ბევრი თქმულა და ბევრიც დაწერილა მოსამსახურეთა მდგომარეობაზე, მაგრამ აქედგან არა გამოვიდა-რა. ეხლაც გაიძახიან ზოგიერთები: გვიშველეთ, მოსამსახურეებმა დაგვაწიოკესო, მაგრამ იმას-კი არ უფიქრდებიან, თუ რა ყოფაში არიან თვით მოსამსახურენი. მაგალითად გაზ. „Кавказъ"-ის მე-131 №-ში დაბეჭდილია წერილი ვიღაც „აღებისათვის" თავშემატკივარისა, რომელიც გაიძახის, რომ თვეში მოსამსახურე 15—20 მანათი გვიჯდებაო; 8—9 თვის შემდეგ ჯამაგირის მომატებასა გვთხოვს და თუ არ მოუმატებ, მიგატოვებს და სხვაგან მიდისო. წასვლაც ისე არ მოხდება, რომ ხელს არ გაუყოლოს რამე და სხვა და სხვა...

დიდს სამსახურს გაგვიწევდა ჩვენი მუნიციპალიტეტი (ვგონებ ქალაქის სამმართველოს ჰქვიან), რომ მოსამსახურეებს პატარა დავთრებს დაურიგებდეს, და თუ მოსამსახურეებმა გაგვაჯავრეს, ყოველსავე დანაშაულობას ჩაუწერდეთ, რომ სხვამ აღარ დაიჭიროს ჩვენი გამოჯავრებულიო. ამასთანავე ქალაქმა მოსამსახურეებს ხარჯი შეაწეროს წელიწადში მანათი მაინც და აქედგან ქალაქს 11—12 ათასი მანათი შემოსავალი ექნებაო. თორემ დაგვაქცია მოსამსახურეებმა და ხმა ვერ გაგვიცია, რადგან თუ გაუჯავრდით, აღარა დგებიან, და თუ რამ დავსწამეთ, რა უნდა უყოთ, რომ თვალ-საჩინი საბუთი არა გვაქვს ხელშიო.

ერთის სიტყვით, იმ წერილის ავტორი ყოველს ბოროტებს მოსამსახურეებს სწამებს და ხმას არ იღებს იმაზე, თუ თვითონ „აღები" რა დღეს აყენებენ საწყალ მოსამსახურეებს. იქნება თვითონ ავტორი ღვთისნიერი რამ ბძანდებოდეს და მოსამსახურეს კარგად ეპყრობოდეს, მხოლოდ მოსამსახურენი-კი ღვთის რისხვანი იყვნენ და არ იცოდეს რა დღეში არიან მოსამსახურენი. თუ აგრეა, ვსთხოვ ცოტა ყური მათხოვოს და გაიგოს, რა სათქმელია ისეთი ტყუილი, რომ იმერელი ჩამოვა ტფილისში თუ არა, თვეში 8—10 მანათს თხოულობსო. ასობით ჩამოვთვლი ისეთს იმერლებს, რომლებიც ჩამოდიან ქალაქში და მთელი 2, 3 და 4 წელიწადი მუქთად ემსახურებიან ოჯახებში და „წავლობენ"! ვსთქვათ, ბიჭმა გასტეხა რამე ოჯახში. ვაი იმისი ბრალი, რაც დღე იმას დაადგება. „აღებმა" იციან, რომ ბიჭი მოკლებულია ჩივილის საშუალებას და ამიტომ ერთ რაღაც მეელს ჭურჭელში თვისა და ორის თვის ჯამაგირს უჭრენ. „ვა! რო სტეხ, არ იცი ფულია მიცემული?! წადი მიყიდე ისეთივე, როგორიც გასტეხე და მიიღე შენი". კარგად იცის აღამ, რომ ისეთს ქილას ანუ ლიტრას ეხლა ვერ იყიდის ბიჭი ბაზარში, რადგან გატეხი ჭურჭელი მეფე ერეკლეს დროინდელია. თუ ბიჭმა ვისიმე შეგონებით უჩივლა აღას, დარწმუნებული უნდა იყოს (ბიჭი), რომ ტყუილად ხარჯს ეწევა და დროსაც ჰკარგავს. თუ ბიჭმა გაბედა თქმა — გიჩივლებო, აღები (ზოგნი) ასე ჰპასუხობენ: „ვა! მიჩივლებ? სულელო, არ იცი, რომ ჩივილით ვერას დამაკლებ? პირველი და არ დავესწრები, მეორეთ „ზაოჩნოთ" გადასწყვეტენ, მესამე „ოტზივს" შევიტან და გავასხლებინებ. ეხლა აპელაცია, მას უკან კასაცია და აბა შენ სად შეგიძლიან მდიო?! ვსთქვათ, ყველა ამას გაუძლო ბიჭმა და უჩივლა აღას. მერე რა! ჯერ ორ-სამ კვირას პირველ გარჩევას ვერ ეღირსება. მანამდე ცუდად თუ დარჩა, ხომ ორი იმოდენა დაეხარჯება. თუ დადგა ადგილზე, მოგეხსენებათ, „სუდი" ათიდგან სამ საათამდე აცდენს კაცს და ამ დროს მოსამსახურეს სად-და აქვს მოცლა, რომ დაესწროს. ან როგორ უთხრას აღას: დღეს დამითხოვეთ, მეელს აღას ვუჩივი სასამართლოშიო! ისევ იმასა რჩეობს, რომ აღარ ესწრება და მოსამართლეც სპობს ამ გვარ საჩივრებსა. რაც შეეხება ქურდობას, ამაზედ მოსამსახურეებს ვერავინ უკიჟინებს, რადგან ავი და კარგი ზნის მქონე ყველა წრეებში იპოვება. სრულიად უკანონოა ის აზრი ავტორისა, რომ მოსამსახურეებს დავთარში უნდა ჩავუწეროთ, თუ გაგვაჯავრესო. ერთი მიბძანეთ, ჩვენ, მოსამსახურეებმა თუ გაგვაჯავრეთ, დავთრებში უნდა ჩაგვიწეროთ და სხვა ადგილი უნდა დავკარგოთ ამის გამო; თქვენ-კი, ბატონებო, თუ უკანონოდ მოგვექცეთ, დაუსჯელად უნდა შეგრჩეთ ჩვენი უკანონოდ დარბევა?!

რამდენი მოსამსახურე ვიცით, რომლებიც ერთსა და იმავე ადაგას 5—15 წლამდე ატარებენ და რამდენიც გნებავთ ოჯახს გიჩვენებთ ისეთს, სადაც ყოველ თვეა მოსამსახურეს იცვლიან. თუ ოჯახებიდგან გადავალთ სასტუმროებში და გავსინჯავთ მოსამსახურეთა ყოფა-ცხოვრებას, აქაც არა სანუგეშო სურათი წარმოგვიდგება. ბევრგან უფროს-ერთი მოსამსახურე უჯამაგიროდ მსახურებს და ზოგს, პირ-იქით, გირაოც აქვს აღებთან შეტანილი, რომ ვინიცობაა რამე დაიკარგოს და ჯამაგირებიც არა ჰქონდეთ რა, იმ გირაოებიდგან გამოურიცხონ.

აი, ბატონო, სურათი მოსამსახურეთა ყოფა-ცხოვრებისა. ამას ისიც უნდა დავუმატოთ, რომ სასტუმროებში მოსამსახურეებს მიჩენილი აქვსთ (თუ აქვთ) ისეთი ბნელი, ჭუჭყიანი ოთახები სარდაფში, რომ, მგონი, დღისით სანთლითაც ვერ შეჰბედოთ შესვლა ამ სადგურებში.

ალექსანდრე ეძიოთ

## უცხოეთი

**საფრანგეთი.** როგორც ვიცით, ბულანჟეს სარჩიელმა პალატაში ალო ვერ გაიტანა და ამით კვლავ დამტკიცდა, რომ საფრანგეთის ერი არც ისე უგუნურია, რომ ყველა მართლისა და მტყუანის ფეხის ხმას აჰყვეს საქმის გაუსინჯ-გაურჩხრეკლად. ასეთისავე პატივით მიიღეს ბულანჟეს სარჩიელის ამბავი მწერლობამ საზოგადოდ და გაზეთებმა კერძოდ. როშფორმა, ბულანჟეს ერთმა უკეთესმა მომხრეთაგანმა, ისეთი მხარი ვერ დაუჭირა, როგორც იმისაგან მოსალოდნელი იყო. გაზ. „Intransigeant"-ის რედაქტორი ამბობს, რომ ბულანჟემ თავისი კერძო აზრი წარმოსთქვა პალატაში და არა მთელის დასისა. ჩვენ კიდევ იმას ვამბობთ, რომ სენატი და პრეზიდენტის თანამდებობა უნდა გაუქმებულ იქმნესო. ასე რომ, როგორცა სჩანს, ბულანჟეს როშფორი ისე უყურებს, როგორც ოპორტიუნისტს.

მაინც თანხმად არა ჰმოქმედებენ ერთმანეთში არც მონარქისტები, რომელნიც ბულანჟეს ემხრობიან. „Gaulois"-ი და „Autorité"-ი ცას არიან დაწეულნი. წერილში, რომელსაც ეწოდება „ოჰ, რა სულელები არიანო!", პოლ-დე-კასანიაკი რესპუბლიკის დანთქმასა დღესასწაულობს და გაიძახის, რომ 23 მაისის კრებაზედ ბულანჟემ გაიმარჯვაო. კასანიაკი ამბობს, რომ „იმ კაცმა, რომელმაც თავისი წინააღმდეგი გაიხადა რადიკალები ფლოკეთურთ, კომუნარები და პია, სოციალისტები ბასლიითურთ, მაშინ-როდესაც მემარცხენენი და ოპორტიუნისტები ხმა-ჩაწყვეტილნი იყვნენო, ამისთანა კაცი ერთი-ორად იმატებს და გადიადდება იმათს თვალში, ვისაც რესპუბლიკა მოჰბეზრდა; ამისთანა კაცი რესპუბლიკის გასახვეტავი ცოცხიაო".

რესპუბლიკელნი-კი მეტად მადრიელნი არიან თავიანთის თავისა. ბულანჟეს მომხრე გაზეთებს კიდევ ეტყობათ, რომ სარჩიელის გარჩევის მადლიერნი არ არიან, ხოლო აი რესპუბლიკელთა გაზეთი „Pepublique Française" რას ამბობს: „გუშინ ჩვენ მოწამენი ვიყავით მეტად აღმაშფოთებელის და ამასთან სანუგეშო ამბისა. იმ ადაგას, რომელ ადგილიდგანაც მოისმოდა ძლიერი ხმა გენერალ ფუასი და კაზიმირ პერიესი, ლამარტინისა, ლედრიუსი, გამბეტასი და ჟულ ფავრისა, ეხლა ერთი-მეორეზედ წამოუყვეს თავი ყველა იმათ, რაც-კი ჩვენს ისტორიაში ყველაზედ სამარცხვინოა... ხოლო მაგიერი გადაუხადეს ფლოკემ,

---

...ნის მიმართ. დათიკოსავე შვილთა უმცროს-ერთს-კი გაუგია, რომ იგი არ არის რომბინზონივით განცალკევებული კუნძულზე, მოწყვეტილი და გადაგდებული, წყლისაგან გარიყული. დაუნახავს, რომ იმ ნაპირზე, სადაც დასტოვა კანონმა დათიკო და იმისი შვილები, მართალია, გლეხები აღარ არიან, შემოიფანტნენ, გაიდნენ წყალგაღმა, — მაგრამ სამაგიეროდ ყოფილან და დარჩომილან სხვა დათიკოები და ამ სხვა დათიკოებს ჰყოლიათ თავიანთი შვილები, რომელნიც ერთს ტაფაში იწვიან ამასთანა. დათიკოებმა ერთს ტაფაში მოამწყვდიეს თავიანთი შვილები და საკვირველი აღარ არის, რომ ცოტათი თვალ-ახელილ შვილებმა ხელი მისცეს ერთმანეთს. თუმცა ესეთი ხელის მიწვდა სრულებით უხეირო, სათაკილო და მეტად უსუსურია, მაგრამ მაინც ხელის მიწვდაა. კაცი მიჰხვდა, რომ იგი აღარ არის ნადირი, რომ იმასა აქვს მოთხოვნილება ეკუთვნოდეს რომელსამე კრებულს.

უეჭველია, რაკი ცოტათი კიდევ აახელს თვალს დათიკოს შვილი, ცოტათი კიდევ მისწვდ-მოსწვდს თავის ჰკუის ძალას, მაშინ დაინახავს, რომ წოდებრივი გამსჭვალვა, გასიება და მიდებ-მოდება დღეს ნაცარ-ქექიაობაა და მეტი არაფერი. გაიგებს, რომ ეხლანდელი წოდებათა განსხვავება ცარიელი სიტყვაა, და ვინც წოდებრივ ულირს ლირსებას ეჯაჯგურება, რომ ამითი ცხოვრებაში ფეხი მოიკიდოს, იგი ჰგავს იმ წყალ-წაღებულს, რომელიც ბუმბულს ეჭიდება, რათა გადურჩეს საშინელს ტალღებსა. დაინახავს, რომ დღევანდელი წოდება, სიტყვით რაც უნდა სპეტაკი და ბრწყინვალე იყოს, სასაცილო ანახრონიზმია და სხვა არაფერი. ამისთანა ანახრონიზმით კაცი ვერ შეიქნება ადამიანად.

**

და ვიდრე ამას გაიგებდნენ-კი, ნუ შეჰრისხავთ ამ წვერ-ულვაშიან ბალღებს ცხოვრებისას და ნურც გაიკვირვებთ, როდესაცა ჰნახავთ, რამდენის მეცადინეობით ირჯებიან, რომ კეთილშობილებიდამ ბრწყინვალებამდე ავიდნენ, რამდენს ხარჯს ეწევიან და როგორ იხვეწ-იმუდარებიან — „არიქა, გეთაყვათ, მოგვეცით ხელი, რომ ჩვენც თქვენსავითა ვბრწყინავდეთო". დეე, იბრწყინონ, ვის რას დაუშლიან. თუ კი ფუღურო, ცარიელი სიტყვა მაგათს სანუკარ საგანს შეადგენს ვისთვისმე, რა დავი გაქვთ. ესენი მხოლოდ თავიანთ თავს დაუშლიან და სხვას არავის. ამ მუხლში კანონმა აიწია განათლების იმ სიმაღლემდე, საიდამაც შესაძლო გახდა უსამართლობისათვის ზურგის-შექცევა, ცხოვრება თავის ლონიერ ფილტვებს ასუნთქებს თანასწორობასა, ჰმოქმედობს თანხმად სამართლისა და ერთობისა. ნამდვილი კეთილშობილება სულისა და გულისა ყველას თვალ-წინ დღითი-დღე იზრდება და მატულობს. აბა ამისთანა დროს თითო-ოროლა უკანასკნელ მოჰიკანების, დარჩომილ კაცების მეცადინეობა როგორღა შესცვლის ფერს ცხოვრებისას. ეს მეცადინეობა მხოლოდ საბუთია იმისი, თუ რამდენად ჩამოჰრჩა დროებას ჩვენი თავად-აზნაურობა. ამ ჩამორჩენას თითონაცა ჰგრძნობს და უკეთესს კომპლიმენტად დღეს მარტო ისლა მიაჩნია, როდესაც ხერხიანი კაცი მოიწადინებს და თავზე ქონს მოუსვამს ჩამომავლობით, უწინდელის დიდებით:

**

ოც-და-ათისა და ორმოცის წლის ქარიშხალმა ქონებრივი შეძლება სრულებით ჩამოაცალა ხელიდამ და ნაცვლად არა მისცა-რა, გარდა სინანულისა და მიზეზიც სინანულისა ის-კი არ იყო, რომ აქამომდე, მთელს თავის სიცოცხლეში, არავის-რა სიკეთე მოუტანარა და, პირ-იქით, სულ ძმარს აწურებდა ლონე-მიხდილსა და უძლურს მოყვასს, — არა, ასეთი სინანული ჯერ გვიან გაიღვიძებს ამ წოდების უმეტესობის გულში. დათიკოს იმისმა სინანულმა გაუარა გულში, რომ უანგარიშოდ აბნია თავისი სარჩო-საბადებელი და უკანასკნელს წამს აღარა აბადია-რა, თან შვილები საიქიოს ატანენ წყევა-კრულვასა და გაუთავებელს საყვედურს, რადგან მამულ-დედული ჩაიდო მუცელში და სამაგიეროდ არა დაუტოვა-რა, სწავლა-განათლებაც არ უნაღვლა შვილებსა. აი ამისი სინანული აქვს, მეტი არაფერი.

სხვა ქვეყნებშიაცა ვხედავთ ფეოდალობას, სხვაგანაც იყო გაძლიერებული თავად-აზნაურობა, მაგრამ იქ უფრო უმეტესადა ჰხედავთ, რომ დაწინაურებული წოდება შეადგენს მართლა ერთს მტკიცე კრებულს, რომელსაცა აქვს საგანი ცხოვრებისა, ემსახურება ამ საგანს და აქედამ ქვეყანასაც, აქვს საკუთარი კულტურა, ზნეობითი ფერი, საკუთარი ჩვეულება. იქ ფეოდალობა წარმომადგენელი იყო საუკეთესო განათლებისა, ემსახურებოდა მეცნიერებას, ხელოვნებას, წინ ეწეოდა მეურნეობას, ყურს უგდებდა მამულ-დედულს, მფარველობას უწევდა ნიჭსა და სიმშვენიერეს. იმისი კულტურა უფრო განვითარებული იყო, გაცილებით მაღლა იდგა გლეხის კულტურაზე და მაგალითად ედგა ჩამორჩომილ გლეხობას.

ჩვენში ამისთანას არაფერსა ვხედავთ. ჩვენი თავად-აზნაურობა კულტურით არა თუ მაღლა არ იდგა გლეხობაზე და ამიტომ არ შეეძლო ხელმძღვანელობა და წინამძღოლობა, პირ-იქით, როგორცა ვნახეთ, იგი გაცილებით ჩამოჰრჩა გლეხობასა: აღარც იმის გონებასა ჰქონდა საგანი და ამიტომ ჰკუა თითქო მეტს ბარგად შეიქმნა ჩვენის ლუარსაბისათვის, აღარც ზნეობრივი იდეალები, რომელსაც მუდამა ჰხედავთ ჩვენს გლეხში და რომელიც აგრეთვე მეტ ბარგად მიიჩნია დათიკომ. დღევანდლამდე წიგნსა თუ გაზეთს მტრის თვალით უყურებს და, ხელი რომ შესწვდებოდეს, არა თუ წიგნებს, სტამბებსაც ცეცხლს მოუკიდებდა და მწერლებს უეჭველად ნაცარტუტს ჩააწურამდა თვალში. საქმესა და ფიზიკურ მუშაობას ხომ აბა რად იკადრებდა — სხვა სისხლისა ბძანდებოდა.

აბა ამისთანა წოდება რა მნიშვნელობას მოიპოვებდა ცხოვრების მოედანზე, რა განძს შეჰმატებდა სამშობლოს აზრსა და გრძნობას, რას გააკეთებდა ქვეყნისათვის გამოსაყენებელს!

ვინც იქამდე ბედნიერი და ჰკვიანი იყო, რომ დროზე გამოიბერტყა ყურები, გამოილო ბამბა და პირდაპირ გაუსწორა თვალი ცხოვრების ახალს ჩარხსა, ვინც გაიგო და შეიმცნო ახალი აზრი და საგანი სიცოცხლისა, ის კიდევაც უტკივრად გადურჩა ამ საშინელს ქარიშხალსა, დაანება თავი ათას გვარ სისულელეს „სისხლის" შესახებ, დაიმკლავა ხელი და გლეხთან თანასწორ შეუდგა საქმიანობას, — იმან კიდეც მოიკიდა ფეხი ნიადაგზე და ღრმად გაიდგა ძირი ცხოვრებაში. იმან ადგილი დაიჭირა ქვეყნის მოედანზე, ხმა მიენიჭა ჩვენს ავ-კარგიანობაში. მაგრამ, საუბედუროდ, ასეთი ნაწილი მეტად მცირე იყო ჩვენში და მაგალითად ვერ გამოადგებოდა თავიდამ ხელ-აღებულ დათიკოობასა და უძრავ ლუარსაბობას. ამისთანა კაცები დღეს თავაწეულნი და წელში გამართულნი არიან და ბოლოთასაცა სცემენ ფართო ქვეყანაზედ. ირჯებიან, აქვსთ შეძლება და კიდევაც იძენენ, ასწავლიან შვილებს, ანათლებენ ვაჟსა და ქალს, თითონაც ჩინებულადა ცხოვრობენ და სრულებითაც არა ჰგონიათ, რომ ბატონ-ყმობა უფრო მეტს ლუკმას მისცემდა იმათ, ვიდრე ეხლანდელი დრო ადამიანის პიროვნების განთავისუფლებისა და გათანასწორებისა.

ვინც ვერ გაიგო ცხოვრების საგანი და ვერ შეიძლო ასპარეზზე გამოსვლა, იმან ხომ კიდევაც იწვნია, რადგან დღეს წარმოადგენს საცოდავს ნანგრევებს ოდესლანდელის დიდებისას...

ამისთანა წყედიადსა და სიბნელეში ბ-ნმა ილია ჭავჭავაძემ თვალი მოჰკრა არჩილსა და კესოს, ჩაჰკიდა თავისი გამოცდილი ხელი და დაგვანახვა ორნივე თავის ღირსებითა და ნაკლულევანებით.

სანო.

კლემანსომ და ბასლიმ, რომელთაც დიდს ტაშს უკრავდა რესპუბლიკის მომხრეთა უმრავლესობა. კლემანსომ მოკლე, ხოლო ძლიერის სიტყვით დაიცვა სარესპუბლიკო წესები უღირსის მხილებისაგან და შეარცხვინა როიალისტები არასაკადრისის კუდ-ბაწრაობისა და მონებისათვისაო.

გაზეთი «Temps»-ი ამბობს: უველაზედ ბრძნულად ილაპარაკა ფლოკემ, მთავრობის მაგიერ, და კლემანსომ, უმწვერვალეს მემარცხენე დასის მხრივ. კლემანსომ უველა გააკვირვა თავისის მართალის სიტყვით და პოლიტიკურის სიბრძნითაო. ჩვენ იმის მეტს ქებას არ ვეტყვით კლემანსოს, რომ იმ წუთს განგებამ მოაბერა მას მაღალი სული დიდებულის გამბეტას მამულის-მოყვარეობისაო.

# დეპეშა

3 ივნისი

მოსკოვი. ყალბის ფულების მკეთებელთა საქმე დასრულებულია. ერთს დამნაშავეს მიუსაჯეს 8 წლით კატორგა, ორს—6 წლით, სამს—4 წლითა და 4-კი უნდა გადზავნონ საცხოვრებლად ციმბირში.

პოტსდამი. იმპერატორი ფრიდრიხი გარდაიცვალა ფრიდრიხს კრონის სასახლეში. გარდაცვალების დროს დაესწრო განსვენებულის სახლობა.

ბერლინი. ნაშუადღევის 2-ს საათზე დაიწყეს ზარების რეკვა და ამართეს სამგლოვიარო ბაირაღები. იმპერატორმა ზიარება მიიღო სასახლის მღვდლის პერსიუსის ხელიდგან, მხატვარმა ანტონ ვერნერმა დახატა იმპერატორი სიკვდილის ჟამს. დღესვე უნდა შეადგინონ განჩინება იმის შესახებ, თუ რა მდგომარეობაში იპოვნეს იმპერატორის გვამი. იმპერატორის ანდერძი შენახულია სასახლის სამინისტროში. ამ ანდერძს წაიკითხავენ იუსტიციის მინისტრის თანადასწრებით. ამბობენ, რომ იმპერატორს დაასაფლავებენ «Friedens-Kirche»-ს, პოტსდამში. ამბობენ აგრეთვე, რომ ფრიდრიხის მემკვიდრეს ვილჰელმ მე-II გამოაცხადებენ იმპერატორად მაშინ როცა განსვენებულს იმპერატორს დაასაფლავებენო.

4 ივნისი

პეტერბურგი. გაზეთ Гражданинъ-ის ცალკე ნომრობით გასყიდვა ისევ ნებადართული იქმნა.

ყველა გაზეთები თანაგრძნობით იხსენიებენ იმპერატორს ფრიდრიხს. „Правит. вѣст.“-ი აღიარებს, რომ ყველა ერნი გრძნობენ დიდს მწუხარებას გერმანიის ერისას, და შემდეგ ამბობს: „გულწრფელობამ, მართალმა ხასიათმა და კაცთ-მოყვარეობამ შესძინეს განსვენებულს იმპერატორს არა მარტო პრუსიისა და გერმანიის ქვეშევრდომთა სიყვარული, არამედ თანაგრძნობა მშვიდობიანობის ყველა მოსარჩლეთა. ამ ჟამს გერმანიის მწუხარებისას მოგონება იმპერატორის თვისებათა შეაერთებს ყველას, რა მიმართულებისანიც უნდა იყვნენ. „Русскій Инвалидъ“-ი ამბობს, რომ ამბავი იმპერატორის სგარდაცვალებისა ჩვენმა ჯარმა მიიღო დიდის მწუხარებით და გულმტკივნეულობითაო. «Journal de St-Pétersbourg»-ი ამბობს, რომ რუსეთი თანამოზიარეა ჰოგენცოლერნის გვარეულობის და გერმანიის ერის მწუხარებისა. გაზეთი ამბობს: ვისურვოთ, რომ ბედმა, რომელმაც ეგოდენი განსაცდელი მიაყენა განსვენებულის სახლობასაო, დღეის იქით სიკეთე მიანიჭოს იმის სახლობას და დაუმკვიდროს მშვიდობიანობა და კეთილ-დღეობა ახალის იმპერატორისაო.

ბერლინი. თანხმად განსვენებულის იმპერატორის სურვილისა, იმპერატორს დაასაფლავებენ ორშაბათს. დასაფლავებაზე დაესწრება მცირე წრე განსვენებულის სახლობისა. დასაფლავება სამხედრო ხასიათისა იქნება.

პეშტი. ტისამ გამოაცხადა პალატაში, რომ ჩემს სიტყვაში, პარიჟის გამოფენის გამო, აზრად არა მქონდა შეურაცხყოფა მიმეყენებინა საფრანგეთისათვის, რომელთანაც ვენგრიას სურს დაიცვას მეგობრობა და მშვიდობიანობაო.

პეტერბურგის ბირჟა, 3 ივნისი

| | მყიდველნი<br>მან. კ. | გამყიდველნი<br>მან. კ. | გაყიდულნი<br>მან. კ. |
|---|---|---|---|
| ხუთ-მანათიანი ოქრო . | — „ | — „ | 9 08 |
| ტამოჟნის კუპონები . . | — „ | — „ | 182½ |
| მანათიანი ვერცხლის ფული . . . . | — „ | — „ | 1 39 |
| 5% პირველის შინაგანის სესხის მომგები ბილეთი . . . . . | — „ | — „ | 273¾ |
| —მეორისა . . . . . | — „ | — „ | 243¾ |
| გირავნობის ფურცელნი ტფილისის ბანკისა . | — „ | — „ | — „ |
| ქუთაისის ბანკისა . . . | — „ | — „ | — „ |
| ტფილისის საურთიერთო ნდობის საზოგადოებისა . . . . | — „ | — „ | — „ |

## საკალენდარო ცნობანი

ქრისტეს აქეთ ჩყპჱ (1888) წელი წადია.
ქვეყნის შექმნიდამ 7396.
ძველი ინდიქტიონი მე-14,
ამისი ქორონიკონი—უპ=480 წელია. დაიწყო 1408 წ. და თავდება 1940 წ.
ახალი ინდიქტიონი მე-4,
ამისი ქორონიკონი—მდ=44 წელიწადია. დაიწყო 1844 წ. და თავდება 2376 წ.
1888 წლის ზედ-ნადებია—25.

თიბათვე 30 დღით არის.

5 დღე კვირა. წამ. აპოლონისა და ნიკანორისა. კათოლ. ბონიფაციასი. მუსულ. მე-8 რიცხვი თთვისა შევვალისა, 1305 წ. ჰიჯრისა.—ჭეშმარიტი შუა-დღე 12—0. ტფილისში მზე ამოდის 4—25, ჩადის 7—37. მთვარე 9 დღისაა.

6 დღე ორშაბათი. ღირსისა ბესარიონ ეგვიპტელისა და ილარიონ დალმათელისა. კათოლ. ეპისკ. კორბერტისა და ეპისკ. კლავდიასი. მუსულმ. მე-9 რიცხვი თთვისა შევვალისა, 1305 წ. ჰიჯრისა.—ჭეშმარიტი შუა-დღე 12—0. ტფილისში მზე ამოდის 4—25, ჩადის 7—37. მთვარე 10 დღისაა.

## გამოსადეგი ცნობანი

ნიხრი

1 ივნისიდამ 1 ივლისამდე

თეთრი პური რუსული 1 გირ. . 5 კაპ.
პური 1-ის ხარისხისა. . 3 „
„ 2 „ 2½ „
თონის წითელი პური 1-ის ხარის. 5 „
„ „ 2 — 3½ „
„ „ 3 „ 3
ჯვარის მამის პურის ლავაში
1-ლის ხარისხისა . . 5 „
მე-2 ხარისხისა . . 4 „
მე-3 — . . . „ „
ძროხის ხორცი . . . 8 „
„ 2 „ 7 „
სუკი . . . 14 „
ცხვრის ხორცი 1-ლის ხარისხისა. 8 „
ღორის ხორცი . . . „ „
„ 2 „ „ „

## მიმოსვლა ცეცხლის გემებისა შავს ზღვაზე.

ბათუმიდამ გადის: ხუთშაბათობით ნაშუადღევის 4 საათზედ მოკლე გზით და ნოვოროსიისკსა და კერჩში შეივლის.

შაბათობით საღამოს 8 საათზე შორის გზით (ყველა ნავთ-სადგურებში შეივლის).

კვირაობით საღამოთი, საზღვარ გარედ, სტამბოლამდე მიდის.

ბათუმში მოდის ოდესიდამ: სამშაბათობით შუა-ღამისას შორის გზით.

პარასკევობით დილით ოდესიდამ მოკლეს გზით (კერჩსა და ნოვოროსიისკში შესვლით).

შაბათობით დილით სამზოლიდამ.

ფოთიდამ ბათუმში მოდის: სამშაბათობით—იმის შემდეგ, როცა სოხუმიდამ მოდის გემი შორის გზით, ხუთშაბათობით—დილის 9 საათზე და მიასწრობს მოკლეს გზით მოსიარულე კავკასიისა და ყირიმის გემსა.

შაბათობით დილის 9 საათზე და მიასწრობს შორის გზით მოსიარულე კავკასია ყირიმისა და რუმელია-ანატოლიისკენ წამსვლელს გემებს.

ბათუმიდამ ფოთს მიდის პარასკევობითა და კვირაობით. რაკი გემი მოვა ფოთიდამ, ბათუმის სააგენტო გადასწყვეტს ხოლმე, როდის წავა უკან.

ამას გარდა ყოველ-კვირა ფოთში მოდიან ოდესიდამ და ყირიმ-კავკასიის ნავთ-სადგურიდამ გადაწყვეტილს ვადაზე გემები.

კვირაობით, საღამოზე, და სამშაბათს ბათუმისკენ მიდიან, რაკი თავის საქმეებს გაათავებენ. მერე ბათუმიდამ პარასკევობით მიდიან ყირიმ-კავკასიის ნავთ სადგურებისაკენ, ხოლო თუ საჭიროა, ფოთშიაც შეივლიან ხოლმე.

რუსეთის სანაოსნო საზოგადოებას სააგენტო იმყოფება სასახლის ქუჩაზე, არწრუნისეულს ქარვასლაში, № 101.

## მიმოსვლა რკინის გზისა

ბათუმსა და ტფილისს შუა

| სტანციები | მოდის საათი. | მოდის წამი. | გადის საათი. | გადის წამი. | სტანციები | მოდის საათი. | მოდის წამი. | გადის საათი. | გადის წამი. |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | დილით | | | | | დილით | | | |
| ტფილისი . . | — | — | 8 | 49 | ბათუმი . . | — | — | 8 | 4 |
| ავჭალა . . | 9 | 9 | 9 | 11 | ქობულეთი. | 8 | 54 | 8 | 57 |
| მცხეთა. . . | 9 | 32 | 9 | 40 | ნატანები. . | 9 | 25 | 9 | 29 |
| ქსანი . . . | 10 | 03 | 10 | 05 | სუფსა . . . | 9 | 55 | 10 | 2 |
| კასპი . . . | 10 | 33 | 10 | 36 | ლანჩხუთი . | 10 | 35 | 10 | 39 |
| გრაკალი . . | 0 | 59 | 11 | 1 | ნიგოითი. . | 10 | 51 | 10 | 53 |
| გორი . . . | 11 | 25 | 11 | 40 | საჯავახო. . | 11 | 14 | 11 | 16 |
| ქარელი . . | 12 | 08 | 12 | 11 | სამტრედია. | 11 | 33 | 11 | 51 |
| გომი . . . | 12 | 37 | 12 | 41 | კოპიტნარი. | 12 | 13 | 12 | 16 |
| ხაშური . . | 11 | 02 | 1 | 17 | რიონი. . . | 12 | 47 | 1 | 2 |
| სურამი . . | 1 | 29 | 1 | 32 | აჯამეთი . . | 1 | 15 | 1 | 18 |
| ფონი. . . | 2 | — | 2 | 03 | ყვირილა . . | 1 | 58 | 2 | 10 |
| ბეჟათუბანი. | 2 | 56 | 3 | 16 | ძირულა . . | 2 | 48 | 2 | 50 |
| მარელისი . | 3 | 45 | 3 | 48 | ბელაგორი . | 3 | 17 | 3 | 20 |
| ბელაგორი . | 4 | 15 | 4 | 18 | მარელისი . | 3 | 47 | 3 | 49 |
| ძირულა . . | 4 | 45 | 4 | 48 | ბეჟათუბანი. | 4 | 18 | 4 | 37 |
| ყვირილა. . | 5 | 26 | 5 | 40 | ფონი . . . | 5 | 30 | 5 | 34 |
| აჯამეთი . . | 6 | 14 | 6 | 16 | | საღამოთი | | | |
| | საღამოთი | | | | სურამი. . . | 6 | 2 | 6 | 5 |
| რიონი . . | 6 | 29 | 6 | 44 | ხაშური . . | 6 | 17 | 6 | 32 |
| კოპიტნარი . | 7 | 08 | 7 | 10 | გომი . . . | 6 | 50 | 6 | 54 |
| სამტრედია. | 7 | 29 | 7 | 49 | ქარელი . . | 7 | 16 | 7 | 19 |
| საჯავახო. . | 8 | 05 | 8 | 07 | გორი . . . | 7 | 44 | 7 | 54 |
| ნიგოითი. . | 8 | 27 | 8 | 30 | გრაკალი . . | 8 | 15 | 8 | 17 |
| ლანჩხუთი . | 8 | 42 | 8 | 46 | კასპი . . . | 8 | 40 | 8 | 43 |
| სუფსა . . . | 9 | 19 | 9 | 27 | ქსანი. . . . | 9 | 7 | 9 | 9 |
| ნატანები. . | 9 | 52 | 9 | 55 | მცხეთა . . | 9 | 28 | 9 | 34 |
| ქობულეთი. | 10 | 22 | 10 | 25 | ავჭალა . . | 9 | 52 | 9 | 54 |
| ბათუმი . . | 11 | 13 | — | — | ტფილისი . | 10 | 15 | 10 | 46 |

ქუთაისიდამ გადის რიონს შუადღის 12 საათსა და 7 წამზედ და საღამოზედ 5 საათზედ და 50 წამზედ.

რიონიდამ ქუთაისს მიდის ნაშუადღევს 1 საათსა და 12 წამზედ და საღამოს 6 საათსა და 55 წამზედ.

ტფილისსა და სურამ შუა

| | | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | დილით | | | | | საღამოთი | | | |
| ტფილისი . | — | — | 3 | 21 | სურამი . . | — | — | 2 | 59 |
| ავჭალა . . | 3 | 46 | 3 | 49 | ხაშური . . | 3 | 11 | 3 | 27 |
| მცხეთა . . | 4 | 19 | 4 | 25 | გომი . . . | 3 | 50 | 3 | 55 |
| ქსანი . . . | 4 | 49 | 4 | 52 | ქარელი . . | 4 | 24 | 4 | 31 |
| კასპი . . . | 5 | 24 | 5 | 29 | გორი . . . | 5 | 4 | 5 | 19 |
| გრაკალი . . | 6 | — | 6 | 3 | გრაკალი . . | 5 | 46 | 5 | 51 |
| | საღამოთი | | | | | დილით | | | |
| გორი . . . | 6 | 31 | 6 | 45 | კასპი . . . | 6 | 18 | 6 | 24 |
| ქარელი . . | 7 | 18 | 7 | 24 | ქსანი . . . | 6 | 55 | 6 | 59 |
| გომი . . . | 7 | 53 | 8 | 1 | მცხეთა. . . | 7 | 24 | 7 | 32 |
| ხაშური . . | 8 | 54 | 8 | 38 | ავჭალა . . | 7 | 55 | 7 | 58 |
| სურამი . . | 8 | 50 | — | — | ტფილისი . | 8 | 24 | — | — |


## განცხადებანი

გამოვიდა და ისყიდება ყველა წიგნის მაღაზიებში:
ისტორიული მოთხრობა
ქართველთა ცხოვრებიდამ
„მარინე“,
გადმოკეთებული
ვალიკო გუნიას მიერ.
ფასი ექვსი შაური.

დაიბეჭდა ახალი საყმაწვილო
წიგნი
ხუთი ამბავი,
ან. თუმანიშვილისა.
ფასი სამი შაური.

ისყიდება ტფილისში: ჩარკვიანის მაღაზიაში და „წერა-კითხვის საზოგადოების“ კანცელარიაში ქუთაისში—ჭილაძეების მაღაზიაში, გორში—ცხვედაძის მაღაზიაში და სხვა ქალაქებში-კი კერძო კაცებთან. იქვე ისყიდება „მოლაღური“. (10—5)

მაქვს პატივი ვაცნობო პატივცემულს საზოგადოებას, რომ თიბათვის 2-დამ ამა წლისა დაიწყებს სიარულს კარგად და ფაქიზად მოწყობილი ახალი

დილიჟანი

გორიდამ მეჯვრისხევში ყოველ დღე. გორიდამ გავა ნაშუადღევის ოთხის ნახევარზედ, მეჯვრისხევიდამ—დილით შვიდ საათზედ. დილიჟანი დადგება გორში, იაკობ ვენატაშვილის დუქანთან; მეჯვრისხევში თიწალა მჩითოვის დუქანში. ფასი: გორიდამ მეჯვრისხევში და მეჯვრისხევიდამ გორში ორ-ორი აბაზი (40 კ.).

ნიკოლოზ გრიგოლის ძე
(7—3) სოლოღოვი.

წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების
წიგნთ-საწყობში
(Дворцовая ул., Караванъ Сарай Земельн. Банка, № 109, 110)
ისყიდება ყოველ გვარი წიგნები, რაც დღემდის დაბეჭდილა ქართულს ენაზე და გასასყიდად კიდევ მოიპოვება, და გარდა ამისა ახლად შეძენილი წიგნები:

| | მან. | კაპ. |
|---|---|---|
| ქართული გრამატიკა, შედგენილი არ. ქუთათელაძისაგან . . . . . . . | „ | 40 |
| ხუთი ამბავი, საყმაწვილო ამბები, ფრანგულიდამ გადმოღებული ან. თუმანიშვილის მიერ. . . . . | „ | 15 |
| სწორ-მეტყველება, სახელმძღვანელო გრამატიკისა, პ. კვიცარიძისა . . . . . . . | „ | 40 |
| ქადაგებანი გაბრიელ ეპისკოპოზისა I ნაწ. . . . . . . | 1 | 50 |
| II ნაწ. . . . . . . | 1 | 50 |
| ბუნების მოვლენანი, ს. მესტიაშვილისა . . . . . . . | „ | 15 |
| ფშაური ლექსები, გაზ. „ივერიის“ გამოცემა. . . . | „ | 40 |
| ჰამლეტი, ტრაგედია შექსპირისა, ინგლისურით ნათ. ი. მაჩაბლის მიერ. . . . | „ | 30 |
| ქადაგებანი და მოძღვრებანი ამბროსი ნეკრესელისა, ალექსანდრე ეპისკოპოზის გამოცემა . . . . . . . | „ | 50 |
| საბა-სულხან ორბელიანის ლექსიკონი, ალექსანდრე ეპისკოპოზის გამოც. . . | 3 | „ |
| სამართლის წიგნი ვახტანგ რჯულ-მდებლისა (რუსულს ენაზე) . . . . . | 3 | 50 |


Доз. ценз. Тифлисъ, 5-го Іюня 1888 года. სტამბა ე. გ. მესხისა. (Типографія Е. Г. Месхи). რედაქტორის მაგიერი თ. რ. ერისთავი. გამომცემელი ილია ჭავჭავაძე